ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1275498

ნომერი: AR1220065

თარიღი : 16.05.2014

გაცემის თარიღი : 19.05.2014

გაცნობის თარიღი : 19.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჟორდანია , N21-23-ის მოპირდაპირედ (ნაკვეთი 22/016);

დამკვეთი-განმცხადებელი

- კირილე მორჩილაძე პ/ნ 01010006347
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ მ/რ კორპ.5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.10.2013 წ. №970660 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში – არქიტექტურის სამსახური) 16.05.2014წ. №AR1220065 ელექტრონული განაცხადით მომართეს კირილე მორჩილაძემ და ლაშა ლალიაშვილმა და

მოითხოვეს არქიტექტურის სამსახურის 30.10.2013 წ. №970660 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მოითხოვეს ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში მითითებული ფართების შეცვლა, ვინაიდან მითითებული ფართები არ მოდის შესაბამისობაში გრაფიკულ ნაწილზე არსებულ ფართებთან.

არქიტექტურის სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა შემდეგი: 30.10.2013 წ. №970660 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, ჟორდანიას ქ. №21–23–ის მოპირდაპირედ (ნაკვეთი №22/016–ში) შპს „მწვანე სახლი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, კომერციული) შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთებად მითითებულნი არიან ლაშა ლალიაშვილი და შპს „მწვანე სახლი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: №404997740).

დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის ნომერი: 882013548711, ამონაწერის მომზადების თარიღი: 14/11/2013 14:19:08, საკადასტრო კოდი: №01.18.13.022.016) თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მწვანე სახლი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404997740), ხოლო მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის ნომერი: 691132, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13121054, ამონაწერის მომზადების თარიღი: 11/12/2013 09:55:59) თანახმად, შპს „მწვანე სახლი“–ს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის ლაშა ლალიაშვილი.

16.05.2014 წ. №AR1220065 განცხადებაზე დართული არქიტექტურული პროექტის გეგმებისა და 30.10.2013 წ. №970660 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ბრძანებით შეთანხმებული პროექტის გეგმებზე, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში მითითებული ფართები არ მოდის შესაბამისობაში გრაფიკულ ნაწილზე არსებულ ფართებთან, კერძოდ არასწორად არის მითითებული საცხოვრებელი და კომერციული ფართები, ამასთან გამორჩენილია საზაფხულო ფართი და შედეგად ასევე არასწორად არის მითითებული საერთო ფართი. აღსანიშნავია, რომ 16.05.2014 წ. №AR1220065 განცხადებაზე დართული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში მითითებული შესწორებული ფართები იწვევს ცვლილებებს 30.10.2013 წ. №970660 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში მითითებულ ფართებში, კერძოდ განახლებულ გეგმებზე მითითებული კომერციული ფართების ჯამი ნაცვლად ბრძანებაში მითითებული 148.9 კვ.მ–სა შეადგენს 148.8 კვ.მ–ს, შესაბამისად საერთო ფართობი ნაცვლად ბრძანებაში მითითებული 1785.1 კვ.მ–სა შეადგენს 1785.0 კვ.მ–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ვინაიდან, 30.10.2013 წ. №970660 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმებზე, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში მითითებული ფართები არ მოდიოდა შესაბამისობაში გრაფიკულ ნაწილზე არსებულ ფართებთან, რომელთა შესწორება იწვევს ცვლილების შეტანას ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში მითითებუ კომერციული და საერთო ფართების მაჩვენებლებში, არქიტექტურიო სამსახურის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გეგმებსა და ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში ზემოაღნიშნული ცვლილებების შეტანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლისა და მე–6 თავის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება არქიტექტურის სამსახურის 30.10.2013 წ. №970660 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში, კომერციულ ფართობად მითითებული მონაცემი –148.9 კვ.მ შეიცვალოს მონაცემით 148.8 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად მითითებული მონაცემი – 1785.1 კვ.მ შეიცვალოს მონაცემით 1785.0 კვ.მ;

ბ) არქიტექტურის სამსახურის 30.10.2013 წ. №970660 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს დაერთოს 16.05.2014წ. №AR1220065 განცხადებით წარმოდგენილი გეგმები გასწორებეული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითებით.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას არქიტექტურის სამსახურის 30.10.2013 წ. №970660 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.